საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7575
08/12/2022

7575-21-2-202212081404

ი/მ გივი იობიძეს
მის: ქ. ქუთაისი,სულხან საბას მესამე ჩიხის №2
ელ. ფოსტა: G.iobidze58@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5222 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში, ცხრილი 1.1-ში მითითებულია, რომ საწარმოში გათვალისწინებულია ქვის მსხვრევა-დახარისხება (საპროექტო წარმადობა წელიწადში 120 ტ.), ხოლო, დოკუმენტის მე-4 თავის თანახმად საწარმოში გათვალისწინებულია 120 ტ. ქვის ხერხვა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ქვის ხერხვის საკითხი. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ქვის ხერხვა მიმდინარეობს საწარმოში, აღნიშნული საქმიანობა შეფასებული უნდა იყოს ატმოსფერული ჰაერის ნაწილში;
- სკრინინგის განცხადებაში (ცხრილი 1.1) საწარმოს სამუშაო რეჟიმი მითითებულია წელიწადში 200 დღე, დღეში 8 საათი. ხოლო 5.1 თავში (გვ. 28) სამუშაო დღეების რაოდენობა მითითებულია 150 დღე, დღეში 8 საათი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო რეჟიმი;
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 120 ტ. ქვის მსხვრევა (100 ტ. ტეშენიტის ქვა, 20 ტ. - კირქვა). ამასთან, ცხრილი 4.1-ში საწარმოს მაქსიმალური სიმძლავრე მითითებულია 15 $მ^3$/სთ, ხოლო მინიმალური - 1,5 $მ^3$/სთ. დაზუსტებას საჭიროებს, დანადგარის წარმადობისა და საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით წელიწადში/საათში გადასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს გადასამუშავებელი ნედლეულის სიმკვრივის კოეფიციენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო